ალუჩა, შვიდი წლის ბავშვი

ის იყო შვიდი წლის ბავშვი.
მაისი, მინდორი , ჩიტი,
სიმღერა ოქროსფერ ნავში,
ზეცათა ლაჟვარდი-ჩითი.

ო, შვიდი... ო, შვიდი წელი
ოქროსფერ, ოქროსფერ ნავით...
მოცარტი, შენიე, შელი -
მოზვავდნენ ახალი ზვავით.

გავიდა კვლავ წელი შვიდი,
იმ ნავებს თან გაჰყვა რული,
მშფოთვარედ გადაიქცა მშვიდი,
გემების გამოჩნდა სული .

დაიმსხვრა გემების წყებაც,
ზღვა ქუხდა ბურუსში შავში.
ტალღებმა გააბეს ყეფვა,
ტალღებმა წაიღეს ბავშვი.

ბრძოლისგან დაღლილი სახე
და ტყვია ჩამჯდარი თავში,
მე თვითონ დაჭრილი ვნახე,
ალუჩა, შვიდი წლის ბავშვი.

1917